დანართი #3

სააგენტოს, ბენეფიარსა და კომერციულ ბანკს შორის პროგრამის ფარგლებში გასაფორმებელი სამმხრივი შეთანხმება

ერთის მხრივ, **ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“** ს/კ 404923785 (შემდგომში „სააგენტო“), რომლის იურიდიული მისამართია მარშალ გელოვანის N 6, თბილისი, 0159, საქართველო, ხოლო ფაქტობრივი მისამართი – ახმეტელის გამზ 10ა, თბილისი, 0159, საქართველო, წარმოდგენილი ---------- ---------- სახით

მეორეს მხრივ, **[----------]** [ს/კ _____] [მისამართი] [წარმოდგენილი_____] (შემდგომში „ბენეფიციარი“)

მესამეს მხრივ, **სს „----------“** რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ---------- წარმოდგენილი დირექტორის ---------- ---------- სახით,

ვინაიდან ბენეფიციარს დაუმტკიცდა სესხი, რომლის პირობებიც მოცემულია კომერციული ბანკის წერილსა და შეთანხმების დანართში # 1;

ვინაიდან სააგენტო ახორციელებს „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის № 2384 განკარგულებით დამტკიცებულ „ახალი საწარმოების შექმნის, არსებული საწარმოების გაფართოების ან/და გადაიარაღების ხელშეწყობის პროგრამას“ (შემდგომში - პროგრამა);

თითეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად მხარეები ვაფორმებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში „შეთანხმება“) შემდეგზე:

დანართი #1 - სესხის პირობები

1. **შეთანხმების საგანი**

1.1 კომერციული ბანკის მიერ პროგრამითა და სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით, ბენეფიციარზე სესხის დამტკიცებისა და გაცემის შემთხვევაში, სააგენტო მოახდენს პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხის არაუმეტეს პირველი 24 თვის პროცენტის დაფინანსებას, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთს დამატებული არაუმეტეს 5%, მაგრამ ჯამურად არაუმეტეს სესხის თანხის 30%-ისა, სესხის ან სესხის პირველი ტრანშის გაცემიდან არაუმეტეს მომდევნო 26 თვის განმავლობაში.

1.2 სააგენტო მოახდენს ბენეფიციარის დაფინანსებას სესხის მთლიანი მოცულობის არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, მას შემდეგ რაც ბენეფიციარი მოახდენს პროგრამის და შეთანხმებით გათვალისწინებული პირობებით, სესხი თანხის მიზნობრივად ხარჯვის და მიზნობრიობის შესრულების დადასტურებას, რომლის განკარგვაც ბენეფიციარს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ.

2. **დაფინანსების ოდენობა და კრედიტის მიზნობრიობა**

2.1 სააგენტოს დაფინანსების თანხის მაქსიმალური ჯამური ოდენობა შეადგენს არაუმეტეს ---------------------სესხის დაფარვის გრაფიკის შესაბამისად.

2.2 კრედიტის მიზნობრიობას წარმოადგენს ----------.

3. **ბენეფიციარის უფლებები და ვალდებულებები**

3.1 ბენეფიციარი ვალდებულია:

3.1.1 უზრუნველყოს შეთანხმებით განსაზღვრული ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი სესხის მიზნობრიობის შესრულება სესხის ან მისი პირველი ტრანშის მიღებიდან არაუგვიანეს 18 თვის ვადაში, ხოლო საბრუნავი საშუალებებისთვის განკუთვნილი სესხის მიზნობრიობის შესრულება სესხის ან მისი პირველი ტრანშის მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვის ვადაში

3.1.2 ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად მიმართოს სესხის ჯამური მოცულობის არანაკლებ 80%;

3.1.3 საბრუნავი საშუალებების დასაფინანსებლად (მხოლოდ ნედლეულის შესაძენად) მიმართოს სესხის ჯამური მოცულობის არაუმეტეს 20 %;

3.1.4 უზრუნველყოს მის მიერ ამოქმედებული საწარმოს შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უსაფრთხოების, გარემოს დაცვის, სანიტარულ და სურსათის უვნებლობის მოთხოვნებთან.

3.1.5 საწარმოს შენობა-ნაგებობებსა და მიმდებარე ტერიტორიას უნდა გააჩნდეს ესთეტიკური გარეგანი სახე;

3.1.6 სესხზე რეფინანსირება/რესტრუქტურიზაცია განახორციელოს პროგრამით განსაზვრული პირობებით (ასეთის შემთხვევაში).

3.1.7 სესხის პირველი ტრანშის მიღებიდან 18 თვის განმავლობაში უზრუნველყოს სესხის (ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი თანხის) სრულად გახარჯვა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის დასადასტურებლად, სესხის გამცემ საფინანსო ინსტიტუტში წარადგინოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში - სამსახური) მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირი (რომელსაც ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგად მინიჭებული აქვს დასკვნითი შეფასება - I, II, III ან IV კატეგორია) მიერ მომზადებული აუდიტორული დასკვნა (რომლის მომზადებისას გამოყენებულ უნდა იქნას სამსახურის მიერ სამოქმედოდ შემოღებული მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები და აუცილებელი წესით უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ან/და ფოტომასალას შესრულებული სამუშაოების შესახებ (ასეთის არსებობის და საჭიროების შეთხვევაში) სესხის პირველი ტრანშის მიღებიდან 20 თვის განმავლობაში. ასევე, საბრუნავი საშუალებებისთვის (ნედლეულის შეძენისთვის) განკუთვნილი ტრანშის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაცემა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც მოხდება ძირითადი საშუალებებისთვის განკუთვნილი თანხის მიზნობრივად ხარჯვის და მიზნობრიობოის შესრულების დადასტურება.

3.1.8 საბრუნავი საშუალებებისთვის გაცემული სესხის თანხის (ტრანშის) სრულად მიზნობრივად გახარჯვა და მიზნობრიობის შესრულების, ასევე 3.1.9 პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურება უნდა მოხდეს 3.1.7 პუნქტით გათვალისწინებული პირების მიერ გაცემული საექსპერტო-აუდიტორული დასკვნით, სესხის პირველი ტრანშის მიღებიდან 24 თვის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადა(ებ)ში, ბენეფიციარმა არ წარმოადგინა აუდიტორული დასკვნა, სააგენტო უფლებამოსილია შესწყვიტოს დაფინანსება

და ბენეფიციარს დააკისროს სააგენტოს მიერ სესხზე გადახდილ დაფინანსების სრული თანხის სააგენტოსათვის დაბრუნება;

3.1.9 პროგრამის ფარგლებში გაცემული დაფინანსების თანხის ყოველ 40 000 ლარზე დამატებით დაასაქმოს არანაკლებ 1 ადამიანი, რაც უნდა დასტრდებოდეს 3.1.8 პუნქტში გათვალისწინებული წესით;

3.1.10 განათავსოს საწარმოს ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას სრიგპ-ის ლოგო, საქართველოსა და ევროკავშირის დროშებით, აღნიშვნა და მოკლე ინფორმაცია თანადაფინანსების თაობაზე;

3.1.11 დაიცვას წინამდებარე შეთანხმების და პროგრამის პირობები.

3.2 ბენეფიციარი უფლებამოსილია:

3.2.1 განკარგოს სააგენტოს მიერ პროგრამის პირობების შესაბამისად გაცემული დაფინანსების თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ, რომლის ოდენობა შეადგენს არაუმეტეს სესხის თანხის 30%-ს.

4. სააგენტოს უფლებები და ვალდებულებები

4.1 სააგენტო უფლებამოსილია:

4.1.1 სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, განახორციელოს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარზე გაცემული სესხის მიზნობრიობის, წინამდებარე შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ისა ან/და პროექტის სხვა პირობების მონიტორინგი (მათ შორის მოითხოვოს სესხის მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია) და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს დარღვევებზე.

4.1.2 მოახდინოს ბენეფიციარის დაფინანსება, სესხის მთლიანი მოცულობის არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, მას შემდეგ რაც ბენეფიციარი მოახდენს სესხი თანხის მიზნობრივად ხარჯვის და მასთან გაფორმებული დაფინანსების შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესრულების დადასტურებას პროგრამის პირობების შესაბამისად, რომლის განკარგვაც ბენეფიციარს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ.

4.1.3 შეწყვიტოს სესხის დაფინანსება, სესხის ან მისი პირველი ტრანშის გაცემის თარიღიდან 26 თვის გასვლის შემდგომ;

4.1.4 საფინანსო ინსტიტუტის მიერ ბენეფიციარის წინააღმდეგ საკრედიტო ხელშეკრულების საფუძველზე სააღსრულებო ფურცლის აღებისთანავე, შეუწყვეტს ბენეფიციარს დაფინანსებას;

4.1.5 თუ ბენეფიციარი დაარღვევს პროექტის ან/და წინამდებარე შეთახმების პირობებს, მოსთხოვოს ბენეფიციარს გადახდილი თანადაფინასების თანხის სააგენტოსათვის დაბრუნება.

4.2 სააგენტო ვალდებულია:

4.2.1 მოახდინოს ბენეფიციარის მიზნობრივი დაფინანსება, პროგრამის პირობებისა და შეთანხმების შესაბამისად.

5 შეთანხმების შეწყვეტის პირობები

5.1 შეთანხმება შეიძლება შეწყდეს:

5.1.1 ვადამდე, ბენეფიციარის მიერ სესხის სრულად დაფარვის შემთხვევაში;

5.1.2 შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შემთხვევაში;

5.1.3 ვადამდე, ნებისმიერი მიზეზით, მხარეების მიერ შეთანხმების შემთხვევაში;

5.1.4 ცალმხრივად, ვადამდე, სააგენტოს მიერ, იმ შემთხვევაში თუ ბენეფიციარი არღვევს წინამდებარე შეთანხმებით განსაზღვრულ პირობებს;

5.1.5 ცალმხრივად, ვადამდე, თუ ბენეფიციარი რაიმე მიზეზით, უარს იტყვის სააგენტოს მიერ სესხის დაფინანსებაზე;

5.1.6 შეთანხმებაზე ხელმოწერის თარიღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, თუ საფინანსო ინსტიტუტი ვერ უზრუნველყოფს სესხის/ტრანშის გაცემას.

5.2 შეთანხმების შეწყვეტის შემთხვევაში, გარდა მე-5 პუნქტის 5.1.1; 5.1.2; და 5.1.6 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ბენეფიციარი არ თავისუფლდება წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.3 სააგენტოს მიერ შეთანხმების შეწყვეტის ან გაუქმების შემთხვევაში, სააგენტოს არ წარმოეშვება რაიმე ვალდებულებები ბენეფიციარის მიმართ.

5.4 ბენეფიციარის მიერ პროგრამით ან/და ხელშეკრულებით ან/და შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, თუ სააგენტო შეწყვეტს დაფინანსებას,

სააგენტო უფლებამოსილია ბენეფიციარს დააკისროს სააგენტოს მიერ ბენეფიციარისათვის გადახდილ დაფინანსების სრული თანხის სააგენტოსათვის დაბრუნება.

6 სხვა პირობები

6.1 ბენეფიციარი თანახმაა, სააგენტომ ნებისმიერ დროს გამოითხოვოს მისი სესხის თაობაზე კომერციულ ბანკ(ებ)ში არსებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია წინამდებარე შეთანხმების საფუძველზე დაფინანსების მიზნობრიობის მონიტორინგის მიზნით.

6.2 ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, რომ სააგენტომ შეუზღუდავად, ნებისმიერ დროს მოიძიოს, მიიღოს და/ან დაამუშავოს ბენეფიციარის შესახებ სს კრედიტინფო საქართველოს „ქათული საკრედიტო ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში“ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია/მონაცემი.

6.3 ბენეფიციარი აცხადებს თანხმობას, რომ მისი სესხების შესახებ ინფორმაციას სააგენტო შეიტანს საკუთარ მონაცემთა ბაზაში, რომელზეც წვდომა ექნებათ პროგრამაში მონაწილე კომერციულ ბანკებს. აღნიშნულის მიზანია, რომ კომერციულმა ბანკმა განახორციელოს კონტროლი, რომ არ გასცეს ბენეფიციარზე პროგრამის პირობების შეუსაბამოდ კრედიტები.

6.4 პროგრამის ფარგლებში გაცემულ სესხებზე არ გავრცელდეს „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისა და გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების დაფინანსების პროექტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №139-ე განკარგულების პირობები, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების პირობები ან/და „საკრედიტო საგარანტიო სქემის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №163 დადგენილებით გათვალისწინებული საკრედიტო საგარანტიო სქემა.

6.5 ინფორმაცია სააგენტოს მიერ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დაფინანსების თაობაზე საჯაროა.

6.6 ბენეფიციარი უპირობოდ თანხმდება, რომ შეთანხმების პირობების დარღვევის გამო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში, თავად მოახდენს დადგენილი გადასახადებისა და სანქციების თანხის გადახდას;

6.7 ინფორმაცია სააგენტოს მიერ პროექტის ფარგლებში განხორციელებული დაფინანსების თაობაზე საჯაროა.ბენეფიციარი წინამდებარე შეთანხმებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაცნობილია პროგრამის პირობებს;

6.8 წინამდებარე შეთანხმებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

6.9 ბენეფიციარი თანახმაა, რომ მისი დაფინანსების თანხა განთავსებული იქნეს სააგენტოს შესაბამის ანგარიშზე სესხის გამცემ კომერციულ ბანკში, საიდანაც ბენეფიციარს ჩაერიცხება დაფინანსების თანხა პროგრამის და შეთანხმების პირობების გათვალისწინებით.

6.10 წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად და გადაეცემათ მხარეებს.

მხარეთა საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

სააგენტო	**ბანკი**	**ბენეფიციარი**